7. ანგარიშსწორების პირობები

7.1.ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება.
7.2.ანგარიშსწორების ვადა ეტაპობრივად საქონლის მიღების შემდეგ.
7.3.ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ანგარიშ ფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
8.2.ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.3.მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1.მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2.თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 31.12.13 -მდე.

11. სხვა პირობები

11.1.ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
11.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.
11.3.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება სასაქონლო ზედდებულით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.4საქონლის მიწოდება მოხდება შემსყიდველისგან მოთხოვნის წარდგინების შემდეგ.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„ შემსყიდველი"

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი

ს.კ.231284552

ა.ნ. GE46LBO115146102430000 სს "ლიბერთი ბანკის"

კახეთის რეგიონალური ფილიალი ბ.კ.LBRTGE22

---------- თ დევდარიანი

მიმწოდებელი

შპს „თელავი ჯუფი"
ს.ს. 231289996
ა.ნ. GE73TB0993936020100005
„თიბისი" ბანკი TBCBGE22